საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 6 16 02909554

21/11/2016

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შეტყობინება კონკურსის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

გაცნობებთ, რომ 2016 წლის 4 ოქტომბერს შინაგან საქმეთა სამინისტროში გაიხსნა ერთობლივი ოპერაციების ცენტრი.

ერთობლივი ოპერაციების ცენტრი არის პოლიციის ტექნოლოგიების ცენტრალიზებული ჰაბი, რომელიც ახორციელებს ქვეყანაში საჯარო სივრცეში განთავსებული ვიდეოკამერების რეალურ დროში უწყვეტ მონიტორინგს ვიდეოანალიტიკური პროგრამების გამოყენებით, მართავს და საინფორმაციო-ანალიტიკურ მხარდაჭერას უწევს ქუჩაში მყოფ გამომძიებლებსა და საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს, კრიზისული ვითარებებისა და მასშტაბური ღონისძიებების დროს კოორდინაციას უწევს სამინისტროს ქვედანაყოფებს. ერთობლივი ოპერაციების ცენტრის ამოცანებია ქვეყანაში დანაშაულის პრევენცია, რეალურ დროში მასზე სწრაფი რეაგირება და დანაშაულის გამოძიების ეფექტიანობის გაზრდა.

ერთობლივი ოპერაციების ცენტრმა დაიწყო მასშტაბური პროექტი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, პოლიციის მიერ სპეციალურად განსაზღვრულ ადგილებში, პრინციპით - „უსაფრთხო ქალაქი, უსაფრთხო რეგიონი, უსაფრთხო ქვეყანა", ანალიტიკური პროგრამებით (სახის ამოცნობა, ნომრის ამოცნობა, ქცევის დეტექცია, მიტოვებული ნივთის ამოცნობა, იარაღის გასროლის დეტექცია) აღჭურვილი ვიდეოკამერების განთავსება. ეს ე.წ. „ჭკვიანი კამერები" ერთიან ქსელში იქნება ჩართული და შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობლივი ოპერაციების ცენტრს პირდაპირი წვდომის რეჟიმში დაუკავშირდება, რომელიც მათ მუდმივ (24/7) მონიტორინგსა და დანაშაულზე ოპერატიულ რეაგირებას განახორციელებს.

ახლადშექმნილი ერთობლივი ოპერაციების ცენტრის საზოგადოებაში ცნობადობის დამკვიდრებისა და პროექტში ახალგაზრდების ჩართულობის მიზნით, შს სამინისტრო აღნიშნული ცენტრის ლოგოს შესაქმნელად სტუდენტებში კონკურსს აცხადებს.

გთხოვთ, გაგვიწიოთ დახმარება და საქართველოში არსებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მიაწოდოთ ინფორმაცია ერთობლივი ოპერაციების ცენტრის ლოგოს შესარჩევად შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონკურსის შესახებ. კონკურსის მონაწილეებს მასალების წარმოდგენა შეეძლებათ მიმდინარე წლის 28 ნოემბრიდან 17 დეკემბრამდე. მონაწილეებმა ნაშრომები უნდა გადმოაგზავნონ შს სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში, ელექტრონული ფოსტით, მის: lrobaqidze@yahoo.com

0114, თბილისი, გულუას ქ.10 ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (995 32) 2411005
10, G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia. Tel.: (+995 32) 2411006 / Fax: (+995 32) 2411005
www.police.ge; e-mail: police@mia.gov.ge

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად საკონტაქტო პირი - **ლაშა რობაქიძე** (საზოგადოებასთა ნ ურთიერთობის სტრატეგიის განხორციელების განყოფილების უფროსი) – **599 93 42 22.**
ლოგოს შექმნის ტექნიკური დავალება (ბრიფი) და საკონკურსო პირობები იხილეთ დანართში.
წინასწარ გიხდით მადლობას დახმარებისთვის.

დანართი 3 დოკუმენტი

პატივისცემით,
შალვა ხუციშვილი
შსს მინისტრის მოადგილე

შ.ს.ს.
მინისტრის მოადგილე
შალვა ხუციშვილი

Creative Brief

ერთობლივი ოპერაციების ცენტრი

ერთობლივი ოპერაციების მაღალტექნოლოგიური ცენტრი ქვეყანაში დანაშაულის პრევენციას, უსაფრთხოებას, რეალურ დროში დანაშაულზე სწრაფ რეაგირებას და მისი გახსნის ხარისხის გაზრდას უზრუნველყოფს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ახორციელებს მასშტაბურ პროექტს „ეროვნული ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის განვითარება", რომლის განხორციელებაც 2016 წლის 4 ოქტომბერს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობლივი ოპერაციების ცენტრის გახსნით დაიწყო.

პროექტი ითვალისწინებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, იმ ადგილებში, სადაც, პოლიციის მონაცემებით, დანაშაული ხშირად ხდება - მაგისტრალებზე, მუნიციპალიტეტების შესასვლელ-გასასვლელებში, სტრატეგიულ ობიექტებსა და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე; სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებში და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში, პრინციპით - „უსაფრთხო ქალაქი, უსაფრთხო რეგიონი, უსაფრთხო ქვეყანა", მაღალი ტექნიკური მონაცემების მქონე ვიდეოკამერების განთავსებას.

აღნიშნული კამერები აღჭურვილი იქნება სხვადასხვა ტიპის ანალიტიკური პროგრამებით (სახის ამოცნობა, ნომრის ამოცნობა, ქცევის დეტექცია, მიტოვებული ნივთის ამოცნობა, იარაღის გასროლის დეტექცია), ჩართული იქნება ერთიან ქსელში და შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობლივი ოპერაციების ცენტრს პირდაპირი წვდომის რეჟიმში დაუკავშირდება. ცენტრი ზემოხსენებული კამერების მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ვითარების მუდმივ (24/7) მონიტორინგს განახორციელებს და დანაშაულზე მყისიერ რეაგირებას მოახდენს. კამერებიდან მიღებული მონაცემების ერთიან ბაზაში შენახვაზე, დამუშავებასა და დაცვაზე შს სამინისტროს ერთობლივი ოპერაციების ცენტრი იქნება პასუხისმგებელი. ამავე დროს, ერთობლივი ოპერაციების ცენტრი რეალურ დროში, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ხედავს პოლიციელების ტაქტიკურ განლაგებას და მოქმედებას, მთელი ქვეყნის მასშტაბით. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, იგი დისტანციურად უწევს სამართალდამცველებს საინფორმაციო-ანალიტიკურ მხარდაჭერას, რადგან ერთობლივი ოპერაციების ცენტრში თავმოყრილია შსს-ში არსებული ყველა მონაცემთა ბაზა, ინფორმაცია და ანალიტიკური ინსტრუმენტი. შსს-ს ერთობლივი ოპერაციების ცენტრი არის მაღალი ტექნოლოგიების ცენტრალიზებული ჰაბი, რომელიც ქართული პოლიციის „ტვინისა" და „თვალების" ფუნქციას ასრულებს.

პროექტის შედეგები

- ✓ გაიზრდება დანაშაულის გახსნის ოპერატიულობა;
- ✓ გაიზრდება დანაშაულის პრევენცია;
- ✓ გაიზრდება ქვეყნის უსაფრთხოების ხარისხი;
- ✓ გაიზრდება პოლიციის საქმიანობის ეფექტურობა;
- ✓ შემცირდება სამართალდარღვევებისა და კრიმინალის რაოდენობა;
- ✓ გაიზრდება ტურისტების შემოსვლა ქვეყანაში;
- ✓ შემცირდება ავტოსაგზაო შემთხვევები;
- ✓ გაიზრდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამოვლენა და აღკვეთა;
- ✓ მოსახლეობაში გაზრდის უსაფრთხოებისა და დაცულობის ხარისხს.

მიზნობრივი სეგმენტი

ვისთვის არის გამიზნული რეკლამა, ვისზე უნდა იმოქმედოს გზავნილმა? მისი დახასიათება.

- ✓ **პირველადი სეგმენტი** - საქართველოს მოსახლეობა 14+
- ✓ **მეორადი სეგმენტი** - კერძო სექტორის წარმომადგენლები (ზემოაღნიშნულ კამერებს დაემატება იმ მოქალაქეებისა და კერძო კომპანიათა საკუთრებაში არსებული კამერები, რომლებიც შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ნებაყოფლობით ითანამშრომლებენ);
- ✓ **მესამედი სეგმენტი** - ტურისტები.

ინსაითი

მოსახლეობის სავარაუდო ინსაითი ამ საკითხის მიმართ

მინდა ვცხოვრობდე უსაფრთხო ქვეყანაში (გარემოში), რომლის უსაფრთხოება გარანტირებული იქნება არა მხოლოდ სიტყვით, ან ვინმე პირის ნება-სურვილით, კეთილი ნებით, არამედ თანამედროვე და ეფექტური ინფრასტრუქტურით, რომლის ფუნქციონირებაც არ არის დამოკიდებული მხოლოდ ცვალებად ადამიანურ ფაქტორზე. ასეთად ისახება ერთობლივი ოპერაციების მაღალტექნოლოგიური ცენტრი.

მარკეტინგული მიზნები

რას უნდა გამოხატავდეს ლოგო?

- ✓ თანამედროვე ტექნოლოგიებს;
- ✓ უნდა იყოს ნაკლებ პოლიციური და მეტად ინოვაციური/თანამედროვე;
- ✓ პირდაპირ ან ირიბად გადმოსცემდეს ცენტრის ფუნქციებს.

ლოგო, როგორც პროექტის ვიზუალური მხარე

პროექტის მთავარი გზავნილი, რომლის ვიზუალური გამოხატულებაც არის ლოგო

შს სამინისტრო დანაშაულის (სუპერ) პრევენციისთვის, სწრაფი/ეფექტური რეაგირებისათვის და ქვეყნის უსაფრთხოების ხარისხის/დონის ასამაღლებლად, თანამედროვე მაღალტექნოლოგიური სისტემის დანერგვის პროცესშია, რომელიც, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ერთიან ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურას ქმნის.

მეგაპროექტი, რომელიც მუდმივად განვითარებაზე არის ორიენტირებული.

დავალება

ერთობლივი ოპერაციების ცენტრის ლოგოს შექმნა (ასევე წამოდგენილი უნდა იყოს ლოგოს გამოყენება - გაშლა, ორი-სამი „მოქაფი“).

ლოგოს სტილი

ლოგოს შექმნისას გათვალისწინებული უნდა იყოს შსს-ს კორპორატიული ფერები (ლურჯი, ვერცხლისფერი...).

ვადები

კონკურსის გამოცხადებიდან 3 (სამი) კვირა.

პროექტის მოკლე აღწერა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო ინოვაციური პროექტის განხორციელება, რომელიც არის ერთგვარი სტარტაპი ქვეყანაში პოლიციის ტექნოლოგიური განვითარების კუთხით.

პროექტი მიზნად ისახავს ქვეყნის უსაფრთხოების ზრდას, პრევენციის გაძლიერებას და რაც მთავარია, ტექნოლოგიური განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლას, რათა საქართველოს პოლიცია გახდეს ერთ-ერთი მოწინავე რეგიონში.

პროექტი ფარგლებში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში 2016 წლის 4 ოქტომბერს ახალი დეპარტამენტი - ერთობლივი ოპერაციების ცენტრის გაიხსნა. ცენტრს არ ჰყავს ზუსტი ანალოგი მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში. თუმცა, მსგავსი ცენტრები სხვადასხვა ფუნქციებით არსებობს ლონდონში, დუბაიში, მეხიკოში, რიო-დე-ჟანეიროში და ამერიკის სხვადასხვა ქალაქში. ცენტრი ფუნქციურად წარმოადგენს ნიუ-იორკის პოლიციაში არსებული სამი დანაყოფის - Real Time Crime Center, Joint Operations Center და Domain Awarness System Command Center გაერთიანებას ერთ სივრცეში.

ცენტრის მთავარი ფუნქციაა სამინისტროში პრევენციასა და რეაგირებაზე პასუხისმგებელი დანაყოფების მართვა, კონტროლი და მხარდაჭერა. ცენტრი მუდმივ მონიტორინგს ახორციელებს საპოლიციო ძალების ტაქტიკურ განლაგებაზე, უზრუნველყოფს საპოლიციო დანაყოფების ყოველდღიური საქმიანობის ოპერაციულ ანალიზს და ერთობლივი ოპერაციების ხელმძღვანელობას. აგრეთვე, კრიზისულ სიტუაციებში და მასშტაბური ღონისძიებების დროს სამინისტროს დანაყოფების ერთიან მართვას.

რაც ყველაზე მთავარია, ცენტრი წარმოადგენს ერთიან მაღალტექნოლოგიურ ჰაბს, რაც გულისხმობს სამინისტროში არსებული მონაცემთა ბაზების (databases) გაერთიანებას, ურთიერთდაკავშირებას (database management system), მათ ცენტრში თავმოყრას, დამუშავებას-ანალიზს და საჭირო ინფორმაციისადმი სწრაფი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას პრევენციის განმახორციელებელი და ინციდენტზე მორეაგირე პოლიციელებისათვის.

პროექტის განხორციელების შედეგად კიდევ უფრო გაიზრდება ქვეყნაში უსაფრთხოების დონე - დანაშაულის რაოდენობა შემცირდება 20-30%-ით. აგრეთვე, შემცირდება ავტოსაგზაო შემთხვევები და დარეგულირდება საგზაო მოძრაობა. თანამდეროვე ტექნოლოგიების დახმარებით გაადვილდება ისეთ საერთაშორისო დანაშაულებთან ბრძოლა როგორებიცაა ნარკოტიკებით ვაჭრობა, ტრეფიკინგი, ტერორიზმი და სხვა. ერთიანი ოპერაციების ცენტრის გახსნის შედეგად დაიწყება პოლიციის განვითარების შეუქცევადი პროცესი. გაიზრდება პოლიციის ეფექტიანობა, რაც მოიცავს შემთხვევებზე რეაგირების გაძლიერებას, დამნაშავე პირთა დროულ დადგენა-დაკავებას, გამოძიების ხარისხის გაუმჯობესებას და შესაბამისად, დანაშაულზე უტყუარი მტკიცებულებების მოპოვებას.

მთავარი გზავნილები (მესიჯები):

21-ე საუკუნის (საქართველოს ან ქართული) პოლიცია - ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ინოვაციური და ტექნოლოგიური პროექტი საქართველოში. ქართული პოლიცია ტექნოლოგიურიად ვითარდება და გადადის განვითარების ახალ ეტაპზე, ცენტრი არის კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი მომავლისკენ. ცენტრი წარმოადგენს ერთიან ტექნოლოგიურ ჰაბს და მას არ გააჩნია ზუსტი ანალოგი მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში; საქართველოს პოლიცია მუდმივად ზრუნავს უწყვეტ განვითარებაზე, რათა მან შეძლოს უკეთესად უზრუნველყოს მოსახლეობისა, ქვეყნის სტუმრების და ქვეყნის უსაფრთხოება. ეს პრექტი ხელს შეუწყობს საქართველოს პოლიციას გახდეს ერთ-ერთი მოწინავე რეგიონში;

მეტი უსაფრთხოება - ქვეყნის უსაფრთხოების გაზრდა, არის ქართული პოლიციის პრიორიტეტი, რადგან ჩვენი კეთილდღეობისათვის ჩვენ გვჭირდება კიდევ უფრო უსაფრთხო ქვეყანა (მოხვდეს სამეულში); ცენტრი შესაძლებლობას მოგვცემს გავაძლიეროთ დანაშაულის პრევენცია, რეალურ დროში მოვახდინოთ დანაშაულზე რეაგირება (სწრაფად გავხსნათ ის) და ბუნებრივი სტიქიების პრევენციითა და მათზე სწრაფი რეაგირებით თავიდან ავიცილოთ მსხვერპლი და ზარალი. ამ ყველაფერმა საქართველოს შედეგად უნდა მოუტანოს - სიმშვიდე, უსაფრთხოება და სტაბიულობა!

კონკურსის პირობები/ლოგოს ტექნიკური დავალება:

- **კონკურსის თემა** - ერთობლივი ოპერაციების ცენტრის ლოგოს შექმნა;
- **კონკურსის ვადა** - 3 კვირა
- **გამარჯვებულის დაჯილდოვება** - გამარჯვებულის დაჯილდოვება უნდა მოხდეს მისი გამოვლენიდან ერთი კვირის განმავლობაში;
- **კონკურსის პრიზები** - 3000 ლარი;
- **კონკურსის პირობები:**

1. ლოგო უნდა გამოხატავდეს ერთობლივი ოპერაციების ცენტრის არსს და ფუნქციებს, რომ ის არის მაღალტექნოლოგიური, ინოვაციური და ტანამედროვე პროექტი;
2. ლოგო უნდა იყოს ადვილად აღქმადი, დასამახსოვრებელი და პოზიტიური. არ უნდა იყოს მიმსგავსებული ან იდენტური შსს-ს, ან სხვა სახელმწიფო დაწესებულებებისა და კომპანიების ნიშნებთან ან ლოგოებთან;
3. ლოგოს შექმნისას გამოყენებული უნდა იყოს შსს-ს კორპორატიული და მასთან მიახლოებული ფერები (ლურჯი, ვერცხლისფერი...);
4. დასაშვებია ერთი მონაწილის მიერ არაუმეტეს სამი ნამუშევრის წარმოდგენა;
5. წარმოდგენილი უნდა იყოს ლოგოს გამოყენება - გაშლა 2-3 „მოქაფი";
6. შსს-ს გამარჯვებულ ლოგოზე უნდა ჰქონდეს ექსკლუზიური საავტორო უფლებები;
7. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ მსურველს, რომლის ამოცანაა შექმნას ლოგო ვექტორული გამოსახულებით Adobe Illustrator-ში, Corel-ში ან სხვა ნებისმიერ ვექტორულ პროგრამაში და გამოაგზავნოს ელექტრონულ მისამართზე lrobaqidze@yahoo.com;
8. ლოგოს შერჩევას განახორციელებს სპეციალური ჟიური, რომელიც ნამუშევრებს შეაფასებს შემდეგი კრიტერიუმით: 1. ვიზუალური მხარე; 2.შინაარსი...

   გამარჯვებული გამოვლინდება ჟიურის წევრების მიერ კონფიდენციალური შერჩევის გზით, კონსესუსის პრინციპით მოხდება. საკონკურსო ნამუშევრებზე ავტორის ვინაობა არ იქნება მითითებული (ჟიურის წევრებს არ ეცოდინებათ ლოგოს ავტორის ვინაობა). ავტორებს მიენიჭებათ სპეციალური კოდი, შესაბამისად, ჟიურის წევრებს ეცოდინებათ აღნიშნული კოდი (კონკურისის მონაწილეებს კოდს მიანიჭებს და და მათი მონაცემები ეცოდინება საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის სამსახურის ორ თანამშრომელს).